განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფარმაციის სამაგისტრო პროგრამა

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 29.06.2020 – 30.06.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი: 17.07.2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფარმაცია
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ფარმაციის მაგისტრი 0916
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლაშა ბაკურიძე, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია კვიჟინაძე, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანი ბილანიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია“ ძირითადი მიზანია მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე, კონკურენტუნარიანი ფარმაციის მაგისტრი, რომელსაც ექნება როგორც ფუნდამენტური ფარმაცევტული დისციპლინების ღრმა და სისტემური ცოდნა, ასევე ფარმაცევტულ სექტორში პრაქტიკული და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის საჭირო უნარები

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია“ მიზნები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან. პროგრამის სტრუქტურა, აკადემიური პერსონალი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები მეტწილად უზრუნველყოფენ პროგრამის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრას და შესაბამისად, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შედგა 2020 წლის 29 – 30 ივნისს. 29 ივნის შეხვედრები განხორციელდა: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებებთან. 30 ივნისს თავდაპირველად გავეცანით სამაგისტრო შრომებს, შემდეგ შეხვედრები შედგა სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ხოლო შემდგომ დავათვალიერეთ უნივერსიტეტის შენობა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები. შემდეგ შეხვედრები გაიმართა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, განმეორებითი შეხვედრა დეკანთან, პროგრამის ხემძღვანელთან

შეხვედრის ფარგლებში განხილული იქნა სამაგისტრო პროგრამის მიზნები, შედეგები და მათი განხორციელების გზები, სამაგისტრო თემატიკების შერჩევის მეთოდები და მათი განხორციელების გზები, ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის რესურსები, სილაბუსები და შეფასების სისტემა, პრაქტიკის ხანგრძლივობა და ბაზები, დამსაქმებელთა ჩართულობა და შესაძლო დასაქმების შესაძლებლობები, ხარისხის უზრუნველყოფის და შედეგების შეფასების მექანიზმები.

ვიზიტის ბოლოს შემაჯამებელ შეხვედრაზე უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარის მიერ მოხდა ძირითადი მიგნებების პრეზენტაცია

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობი შესწავლა მოხდა აკრედიტაციის 5 ძირითადი სტანდარტის მიხედვით, რომლებიც შემუშავებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

1. **საგანანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

სამაგისტრო პროგრამის მიზანი ნთლად არის ჩამოყალიბებული და შეესაბამება დაგეგმილი სწავლების შედეგებს. სწავლების კომპონენტები და მეთოდები ორიენტირებულია შრომითი ბაზრის მოთხოვნებზე. გასაუმჯობესებელია კვლევითი კომპონენტი და მეთოდები, თეორიული ცოდნის უკეთ განმტკიცების მიზნით სასურველია

პრაქტიკის ბაზების და ხანგრძლივობის ზრდა, რაც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას შრომით ბაზარზე

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას.
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია“ სტუდენტის დაშვების წინაპირობებია:

- ბაკალავრის ან მაგისტრის კვალიფიკაცია;
- საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება;
- საუნივერსიტეტო კომპლექსურ გამოცდაზე დადებითი შეფასების მიღება (51%-იანი ბარიერის დაძლევა).

ფარმაციის მაგისტრის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა განისაზღვრება 2 წლით, ითვალისწინებს 120 კრედიტის ათვისებას და სამაგისტრო ნაშრომის დაცვას.

სამაგისტრო ნაშრომი (30 კრედიტი) წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს. რომელშიც აისახება სწავლის პერიოდში შეძენილი პრაქტიკული და თეორიული ცოდნა. კერძოდ, ფარმაციის სხვადასხვა მიმართულებების ღრმა და სისტემური ცოდნა, ზოგჯერ კი მხოლოდ კვლევაზე დაფუძნებული ახალი ცოდნა. შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას, ადგილი აქვს სწავლის პროცესში მიღებული მთელი ცოდნის სისტემატიზაციას, დარგობრივი ცოდნის, პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების გამოვლენას და მომავალ მკვლევარში აკადემიური წერის კულტურის გამომუშავებას.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტის მიერ კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება საკრედიტო სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთანავე სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და ორგანიზებისთვის აუცილებელ ინფორმაციას და კონსულტაციას.

სამაგისტრო თემის და ხელმძღვანელის დამტკიცება ხდება მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს მიერ სამეცნიერო კვლევის გეგმის ანალიზის საფუძველზე. უნივერსიტეტის პოზიციით ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს მინიმუმ ასოცირებული პროფესორის სტატუსი და სამეცნიერო–მეთოდური მუშაობის გამოცდილება.

თითოეული მაგისტრანტი თემაზე მუშაობს ინდივიდუალურად ხელმძღვანელთან, რომელიც ეხმარება სტუდენტს თემის შერჩევაში, გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის განმავლობაში განხილული სამაგისტრო

ნაშრომების უმრავლესობა თეორიულია და მათი სტრუქტურა საჭიროებს ერთგვარი სტილის დაცვას.

.

4. **სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

პროგრამა მეტწილად უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური მატერიალური ბაზით, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლების შედეგების მიღწევას. სასწავლო აუდიტორიები და ლაბორატორიები აღჭურვილია შესაბამისი ხელსაწყო/დანადგარებით და სახარჯი მასალებით, შესაბამისად სტუდენტს შეუძლია განახორციელოს სხვადასხვა ტიპის სასწავლო და კვლევითი საქმიანობა. სტუდენტებს ემსახურებათ თანამედროვე ტიპის ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა სახის სერვისს როგორც ადგილზე ვიზიტის დროს, აგრეთვე ელექტრონულად.

5. **სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**

უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის და სწავლების შემდგომი განვითარების სისტემა. ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროცედურები რამდენიმე საფეხურიანია და მოიცავს პროგრამის კომპონენტების სილაბუსების, აკადემიური პერსონალის, კურიკულუმის და ა. შ. მონიტორინგის პროცესს. ყოველ სემესტრულად ხდება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური პერსონალის და დამსაქმებლების გამოკითხვა. ხორციელდება მიღებული შედეგების ანალიზი და გათვალისწინება პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით

- **რეკომენდაციები**

  - რეკომენდებულია სასწავლო და მეთოდური ლიტერატურის განახლება
  - სასწავლო პრაქტიკის ხელშწყობის მიზნით ხელშეკრულებების გაფორმება სხვადასხვა ტიპის ფარმაცევტული პრაქტიკის ბაზებთან (ანალიზური ლაბორატორიები, საწარმოები და სხვა)
  - რეკომენდებულია სტუდენტთა სამეცნიერო/კვლევითი და პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებისათვის აუცილებელი მატერიალურ - ტექნიკური ბაზის სრულყოფა
  - რეკომენდებულია სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლითი ნაწილის შეტანა და ხარჯების დეტალიზაცია
  - რეკომენდებულია შეფასების სისტემის ცვლილება და მრავალკომპონენტიანი შეფასების სისტემის დანერგვა
  - რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომების დარგის შესაბამისი თემატიკების შერჩევა, კვლევის მეთოდების გამრავალფეროვნება და ნაშრომის სტილის დაცვა

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - სასურველია ინტერნაციონალიზაციის დონის ამაღლება და მოწვეული პროფესორიების (მათ შორის პარტნიორი საერთაშორისო უნივერსიტეტებიდან) მოწვევა

- სასურველია სტუდენტთა გაცვლითი პროექტები და მეტი ჩართულობა სამეცნიერო კონფერენციებში
- სასურველია გაგრძელდეს მატერიალურ - ტექნიკური ბაზის შევსება
- სასურველია გაგრძელდეს მუშაობა მრავალფეროვანი დასაქმების წყაროების მოძიების მიმართულებით

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

გაიზარდა შესვლათა რაოდენობა ფუნდამენტალურ დისციპლინებში

გაუმჯობესებულია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი

გაუმჯობესებულია უნივერსიტეტის და ფაკულტეტის მატერიალურ - ტექნიკური ბაზა

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებს, სტრატეგიულ განვითარების გეგმას. პროგრამის სტრუქტურა, სწავლების ფორმატი, სასწავლო გეგმა, პროგრამის განმახორციელებელი კვალიფიციური ადამიანური რესურსი, უნივერსიტეტის მატერიალურ–ტექნიკური ბაზა და წიგნადი ფონდი უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნების მიღწევას. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია“ ძირითადი მიზანია მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე, კონკურენტუნარიანი ფარმაციის მაგისტრი, რომელსაც ექნება როგორც ფუნდამენტური ფარმაცევტული დისციპლინების ღრმა და სისტემური ცოდნა, ასევე ფარმაცევტულ სექტორში პრაქტიკული და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის საჭირო უნარები: – მრავალკომპონენტიანი სამკურნალო პრეპარატების თვისობრივი და რაოდენობრივ ანალიზის ჩასატარებლად (წამლის ვარგისიანობის დადასტურების მიზნით); – მზა წამალთფორმების სერიული წარმოებისათვის; – წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის ხარისხის კონტროლის სახელმწიფო სისტემების და ფარმაკოზედამხედველობის სამსახურის „სასიცოცხლო“ ფუნქციების შესაფასებლად; – სააფთიაქო ნარკომანიისა და ტოქსიკომანიის წინააღმდეგ ქმედითი ღონისძიებების გასატარებლად; – ძლიერი კონკურენციის პირობებში დამოუკიდებლად, საკუთარი ფარმაცევტული ბიზნესის დასაწყებად და განსავითარებლად; – ავტორიზებული აფთიაქის და ფარმაცევტული პროფილის ნებისმიერი დაწესებულების მართვა/ხელმძღვანელობისათვის; – ფარმაკოლოგიური საშუალებების ან ფარმაკოთერაპიული სქემების ეფექტურობის შესაფასებლად (კონკრეტულ დაავადებასთან მიმართებაში); – კლინიკურ კონტექსტში მოსახლეობის მხარდასაჭერად (ძირითადი ვექტორით ,,პაციენტი ფოკუსში");

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აწსუ მისია: http://www.atsu.edu.ge/geo/misia.html
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია“ კურიკულუმი
- გასაუბრება უსდ-ს ადმინისტრაციასთან

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამით გაცხადებული მიზნების მიღწევასთან დაკავშირებით პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობის გაზრდა

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფარმაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ერთმანეთთან, გაზომვადი და რეალისტურია. სწავლის შედეგები ითვალისწინებს ცოდნის, უნარების, კომპეტენციების, ავტონომიურობის და პასუხისმგებლობების ასპექტებს. სწავლის შედეგები ადეკვატურია ფარმაციის მაგისტრის კვალიფიკაციის მინიჭებისათვის და ითვალისწინებს კვალიფიკაციის შესაბამის დონეს.

უნივერსიტეტში შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც მოიცავს სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს. აღნიშნული შეფასების სისტემა ლოგიკურ ბმაშია სწავლის შედეგებთან

დადებითი ფაქტორია სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი თუმცა, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა დასაქმებულია ძირითადად ერთი პროფილით - აფთიაქში ფარმაცევტად

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა
- სამაგისტრო პროგრამა „ფარმაცია“
- გასაუბრება მაგისტრატურის კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☑			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია“ სტუდენტის დაშვების წინაპირობებია: – ბაკალავრის ან მაგისტრის კვალიფიკაცია; – საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება; – საუნივერსიტეტო კომპლექსურ გამოცდაზე დადებითი შეფასების მიღება (51%-იანი ბარიერის დაძლევა). კომპლექსური გამოცდა ტარდება ტესტირებით და მოიცავს ფუნდამენტური ფარმაცევტული დისციპლინების (ფარმაცევტული ტექნოლოგია, ფარმაკოლოგია, სოციალური ფარმაცია, ფარმაკოეკონომიკა, ფარმაცევტული ბიზნესის მენეჯმენტი და მარკეტინგი, ფარმაცევტული ქიმია, ფარმაკოგნოზია) საკვანძო საკითხებს. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია ასევე, შიდა და გარე მობილობის

წესით, რასაც არეგულირებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანება No10/ნ - „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული დადგენილება (№12 (17/18) – „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის შესახებ“.

მაგისტრატურაში სწავლების უფლება შეიძლება მიენიჭოს პირს, რომელმაც უცხო ქვეყნის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს (ბაკალავრის ან მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონეს) "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია“ კურიკულუმი;
- აწსუ-ს ოფიციალური ვებ-გვერდი – www.atsu.edu.ge.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფარმაციის მაგისტრის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა განისაზღვრება 2 წლით, ითვალისწინებს 120 კრედიტის ათვისებას და სამაგისტრო ნაშრომის დაცვას. კურიკულუმი აგებულია 4 სემესტრზე. მაქსიმალური კვირეული დატვირთვა არ აღემატება 18 სთ–ს. მაგისტრატურა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს. 120 კრედიტიდან ძირითად საგნები მოიცავს 85 კრედიტს, 5 კრედიტი განკუთვნილია არჩევითი საგნებისთვის, ხოლო სამაგისტრო ნაშრომზე გამოყოფილია 30 კრედიტი პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია“ და სილაბუსები. • ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, რითაც გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია: აწსუ აკად.საბჭის დადგენილებით №49 (17/18) 09.02.2018); • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • უცხო ენის სწავლების გაძლიერება • სასურველია ინტერნაციონალიზაციის დონის ამაღლება და მოწვეული პროფესორიების (მათ შორის პარტნიორი საერთაშორისო უნივერსიტეტებიდან) მოწვევა
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფარმაციის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა ლოგიკურად არის განაწილებული და მეტწილად შეესაბამება პროგრამით დაგეგმილ სწავლის შედეგს. კურიკულუმში არ არის გამოყოფილი სასწავლო პრაქტიკა სხვადასხვა ტიპის დაწესებულებებში სამეცნიერო, კვლევითი, ანალიზური ან ტექნოლოგიური მიმართულებებით, რაც სტუდენტს არსებულ ცოდნაზე პრაქტიკული უნარების დაშენების შესაძლებლობას მისცემდა. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა კურსის სპეციფიკიდან გამომდინარეობს. ითვალისწინებს სწავლების შესაბამის მეთოდებს (ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, სემინარი, დისკუსია, პრეზენტაცია და სხვა), რაც შესაბამისობაშია კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებთან.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მცირე შემთხვევებში შეინიშნება სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის ხანდაზმულობა და სასურველია უახლესი მასალის მითითება

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- შესრულებული სამაგისტრო ნაშრომები
- ინტერვიუირების შედეგები

რეკომენდაციები:

- ✓ რეკომენდებულია გაიზარდოს არჩევითი საგნების სია
- ✓ რეკომენდებულია სასწავლო და მეთოდური ლიტერატურის განახლება
- ✓ რეკომენდებულია სასწავლო პრაქტიკის დამატება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- ○

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო ნაშრომი (30 კრედიტი) წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს. რომელშიც აისახება სწავლის პერიოდში შეძენილი პრაქტიკული და თეორიული ცოდნა. კერძოდ, ფარმაციის სხვადასხვა მიმართულებების ღრმა და სისტემური ცოდნა, ზოგჯერ კი მხოლოდ კვლევაზე დაფუძნებული ახალი ცოდნა. შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას, ადგილი აქვს სწავლის პროცესში მიღებული მთელი ცოდნის სისტემატიზაციას, დარგობრივი ცოდნის, პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების გამოვლენას და მომავალ მკვლევარში

აკადემიური წერის კულტურის გამომუშავებას.

პროგრამაში ჩართული ფაქტიურად ყველა სტუდენტი არის დასაქმებული, რაც ერთმნიშვნელოვნად დადებითი მოვლენაა, თუმცა ხაზგასასმელია სამწუხარო ფაქტი, რომ სტუდენტთა დასაქმების არეალი მხოლოდ ერთი ვიწრო მიმართულებით ვითარდება (დასაქმება საცალო სააფთიაქო ბაზაში, ფარმაცევტის ან მენეჯერის პოზიციაზე),

მჭიდრო და დახვეწილი ურთიერთკავშირია ფაკულტეტსა და პროგრამის ხელმძვანლეობასა და დამსაქმებელ კომპანიებთან ურთიერთობა. კომპანიების მხრიდან იგრძნობა კმაყოფილება პროგრამაში მონაწილე სტუდენტების დონით, რომლებიც იმავდროულად ამა თუ იმ კომპანიის თანამშრომელია, თუმცა მნიშვნელოვანი სტუდენტთა ნაკლებ ინფორმირებულობა მათი შესაძლო კარიერული განვითარების მხრივ ფარმაციის სხვადასხვა მიმართულებით.

სტუდენტების მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში არ არის მაღალი ინტენსიურობის, რაც ბევრი ფაქტორითაა განპირობებული: უცხო ენის ცოდნის დაბალი დონე, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის დონე, სამსახურებრივი დატვირთვა და დროის სიმცირე. ამასთან სტუდენტის მეტი ჩართულობა სამეცნიერო კონფერენციებში უფრო აამაღლებს მათ ინტერესს მეცნიერებისადმი. რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის თემის არჩევას, სტუდენტების განმარტებით, ისინი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის არჩევის გაკეთებაში თავისუფალნი არიან.

სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმით არ არის გათვალისწინებული სასწავლო პრაქტიკა სხვადასხვა ტიპის დაწესებულებებში სადაც სტუდენტი შეიძენდა პრაქტიკულ უნარებს სამეცნიერო, კვლევითი, ანალიზური და ტექნოლოგიური მიმართულებებით. აღნიშნული განამტკიცებდა სიღრმისეულ თეორიულ ცოდნას.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტები ისურვებდნენ მეტი სასწავლო პრაქტიკის გავლას როგორც ლაბორატორიებში, ასევე საწარმოსა და სხვა სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებში. ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად ვერ აძლევს საშუალებას სტუდენტებს განახორციელონ საინტერესო კვლევითი პროექტები და წარმატებით წარსდგნენ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებზე.

გაცლითი პროგრამების არსებობა და სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის ჩართულობა მეტად ხელს შეუწყობს ხარისხიანი სწავლა-სწავლების პროცესის უზრუნველყოფას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება
- ინტერვიუირების შედეგები

რეკომენდაციები:

- ინტერნაციონალიზიის პროცესის ხელშეწყობა
- სასწავლო პრაქტიკის ხელშწყობის მიზნით ხელშეკრულებების გაფორმება სხვადასხვა ტიპის ფარმაცევტული პრაქტიკის ბაზებთან (ანალიზური

ლაბორატორიები, საწარმოები და სხვა)

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ✓ სტუდენტური კონფერენციების რაოდენობის გაზრდა;
- ✓ სტუდენტების ჩართულობის მაჩვენებლის გაზრდა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში.
- ✓ სტუდენთა ინფორმირებულობის დონის გაზრდა, მიღებული ცოდნისა და კომპეტენციის ფარგლებში მათი კარიერული წინსვლის ხელშწყობისათვის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- ○

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდები ერთობლიობით, კერძოდ: ინტერაქტიური ლექციები, კვლევითი სემინარები, დისკუსია, დებატები, პრეზენტაციები, ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობები და სხვა.

მეთოდების მრავალფეროვნება ითვალისწინებს თითოეული კურსის შინაარს და

სპეციპიკას. აღნიშნული მეთოდების ერთობლივობა შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • საგანმანათლებლო პროგრამა; • სილაბუსები; • ინტერვიუს შედეგები; • მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამაში და სილაბუსებში გაწერილია სტუდენტის შეფასების მეთოდები. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. საბოლოო შეფასება წაროადგენს შუალედური შეფასების და დასკვნითი გამოცდის შეფასებათა ჯამს. სამაგისტრო დარგობრივი კომისია, სამაგისტრო ნაშრომის (30 კრედიტი) შეფასებისათვის იყენებს 100 ქულიან სისტემას, რომელიც ნაწილდება რამდენიმე კომპონენტზე. ნაშრომის შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #3-ს. აგრეთვე აღსანიშნავია რომ სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე, ხოლო აღნიშნულის აღმოჩენის შემთხვევაში ნაშრომის დაცვა გადაიდება ერთი სემესტრით. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

